პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტური განათლება

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალური გამგეობათა ორგანო

12 აგვისტო, 1937 წ. № 75 (875) ფასი 10 კაპ.

ბოლშევიკური ტემპები სასწავლო წლისათვის მზადებას

სასწავლო წლის მომზადებაზე ბევრად არის დამოკიდებული სწავლის ხარისხი და მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. ამას ნათლად ადასტურებს გასული წლის მაგალითი: სასწავლო წელი წარმატებით დამთავრდა იმ სკოლებში, რომლებიც ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ მეცადინეობის განახლებას. მაგრამ ეს უდაო ჭეშმარიტება ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეიგნეს განათლების ზოგიერთმა ორგანომ, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებმა და მთელ რიგ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. რაც მთავარია, ეს არ ეყოთ პოლიტიკური სიფხიზლე დროულად გამოევლინებიათ ხალხის მტრები, მოღალატენი, ჯაშუშები, სისხლიანი ფაშიზმის დაქირავებული აგენტები, რომლებიც განათ. სახ. კომისრის ყოფილი მოადგილის, ხალხის მტრის ჯაშუშ და დივერსანტ შ. გეგენავას მეთაურობით იწეოდნენ მავნებლობას სასწავლო წლისათვის მზადების ჩასაშლელად. მაგალითად, სოფ. ხიდის, ზემოკინჩხის და ივანდიდის (წულუკიძის რ.) სკოლების მშენებლობა წლობით გაჭიანურდა ხალხის მტრის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ნადარეიშვილისა, ტექნიკოს სოლაბერიძისა და სკოლის დირექტორ ჩიტორელიძის მავნებლური მუშაობის შედეგად; გურჯაანის რაიონში მთელ რიგ სკოლებში ხელოვნურად ჩაშალეს მზადების საქმე ხალხის მტრებმა რაიაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ ოქროპირიძემ, განათ. განყ. ყოფილმა გამგემ ჭყონიამ და სხვ.

ადგილობრივი ორგანიზაციების დაუდევრობითაც მთელ რიგ რაიონებში: გორის (სოფ. ტირძნისში და ფლავში), ჭიათურის (სოფ. იწერში) და სხვ. 1935 წ. დაწყებული სასკოლო შენობა წელსაც ვერ მთავრდება.

სასკოლო მშენებლობის საქმეში ჯერ კიდევ სამარცხვინოდ ჩამორჩებიან აგრეთვე სოხუმი და თბილისი, სადაც, მიუხედავად მიცემული სიგნალებისა, დღემდე ვერ უზრუნველყვეს სასკოლო მშენებლობისათვის საჭირო ტემპები: სამშენებლო ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს 2-3 ცვლად მუშაობის წარმოება, მუშახელის სწორი ორგანიზაცია და საშენი მასალის მომარაგება. უფრო აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ ზოგიერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა, რომელსაც უშუალოდ ევალება გაუწიოს კონტროლი და ტექნიკური ხელმძღვანელობა სასკოლო მშენებლობას, არ იცის რა აკეთოს. ამას ნათლად მოწმობს თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების სასკოლო მშენებლობის ხელმძღვანელ უფროს ინჟინერ ძამოევის უტიფარი განცხადება: „მე არ ვიცი რა უნდა გავაკეთო, მომეცით „უსტანოვკა“, ჩემი რა საქმეა თვალყური ვადევნო თბილისის რაიონებში სასკოლო მშენებლობას“. ასეთი უპასუხისმგებლო განცხადების შემდეგ რა უნდა მოითხოვოს მას?!

სასკოლო მშენებლობის ჩაშლას ურიგდება განსახკომის სასკოლო მშენებლობის სამმართველოც, რომელიც ვერ უწევს ამ საქმის კონკრეტულ-ოპერატიულ ხელმძღვანელობას: სისტემატურად ვერ ამოწმებს რაიონებში სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობას, ვერ ამარაგებს საშენი მასალით და სხვ.

მთელ რიგ რაიონებში სკოლის დირექტორები და გამგეები წავიდნენ და სკოლები დარჩა სრულიად უპატრონოდ. მაგალითად, სოფ. ფონას სკოლა (ხარაგოულის რ.), სოფ. სავეკუოს (ჩხოროწყუს რ.), ზემო-საზანოს (ჩხარის რ.), ხიდისთავის (გორის რ.), კიწიის (გეგეჭკორის რ.) და სხვ. საჭიროებენ მიმდინარე რემონტსა, მაგრამ ვინ არის პატრონი?! განათლების განყოფილებათა მუშაკებიც არ ფიქრობენ ჯერ აღნიშნულ სკოლებში შეხედვას.

მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე სასკოლო ინვენტარის შეძენა-შეკეთებისა და სკოლების ეზოებს შემოღობვა - გამწვანების საქმე.

რაც შეეხება სკოლების დაკომპლექტებას მასწავლებელთა კადრებით, ამ საქმეს წელს განსახკომმა ენერგიულად მოკიდა ხელი და ვფიქრობთ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან გაიწმინდება სკოლა უღირსი, საბჭოთა სკოლისათვის უცხო, გადაგვარებული და მოუმზადებელი მასწავლებლებისაგან.

როგორ მიმდინარეობს სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე? 66 სახელმძღვანელოდან 10 აგვისტოსათვის უკვე გამზადებულია 57 წიგნი 1.680 ათასი საერთო ტირაჟით. დანარჩენ 9 სახელმძღვანელოდან კი ნაწილი დაბეჭდილია, ნაწილი ახლა იბეჭდება.

ახლა მორიგი ამოცანაა ადგილებზე სახელმძღვანელოთა მოწოდების საქმე, როგორც წარსულ წელს, ისე მიმდინარე წელსაც ეს საქმე მინდობილი აქვს ცეკავშირს. გასულ წელს ცეკავშირმა ეს საქმე აშკარად ჩაშლამდე მიიყვანა ძირეული კოოპერატიული ქსელის აპარატის მოუქნელობის გამო, მიმდინარე წლისათვის ცეკავშირმა ამთავითვე უნდა იზრუნოს მომზადდეს საამისოდ მთელი ძირეული კოოპერატიული ქსელი, სახელგამის სავაჭრო ქსელიც კარგად უნდა მოემზადოს ამ საქმისათვის.

სასწავლო წლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა, რაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ შევსძლოთ ზემოჩამოთვლილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ამას კი შევსძლებთ, თუ სასწავლო წლისათვის მზადებას უზრუნველვყოფთ ბოლშევიკური ხელმძღვანელობით.

სასწავლო წლისათვის მზადების ირგვლივ ერთსულოვნად უნდა დაირაზმონ კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებმაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების საფუძველზე 5-დან 25 აგვისტომდე ყველა სკოლაში უნდა ჩაატარონ „მსუბუქ კავალერიის“ რეიდი სასწავლო წლისათვის მზადების შესამოწმებლად და ჩამორჩენილ სკოლებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად. ლენინური კომკავშირის ეს ინიციატივა ფართოდ უნდა გამოიყენონ განათლების ორგანოებმა და მასთან ერთად შეამოწმონ სკოლების მზადყოფნა სასწავლო წლისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ სასწავლო წლისათვის ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრა უზრუნველჰყოფს სკოლის ყველა ნაკლის აღმოფხვრას და კომუნისტური სწავლა-აღზრდის უმაღლეს საფეხურზე აყვანას, რის შესახებაც გასულ სასწავლო წელს საქართველოს მასწავლებლობამ პირობა მისცა საუკეთესო სტალინელს ამხ. ლ. ბერიას.

საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

მოსკოვ-ჩრდილოეთის პოლუსი-ამერიკის შეერთებული შტატების მარშრუტით გმირული, პირველად შესრულებული ძირდაუშვებელი გადაფრენის განხორციელებისათვის, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს**:

1. დაჯილდოებულ იქნან წითელი დროშის ორდენით საბჭოთა კავშირის გმირები:

ვ. პ. ჩკალოვი — „ანტ-25“-ის ეკიპაჟის მეთაური,

გ. ფ. ბაიდუკოვი—მეორე პილოტი,

ა. ვ. ბელიაკოვი—შტურმანი.

2. მიეცეთ ერთდროული ფულადი ჯილდო გადაფრენის მონაწილეებს: ვ. პ. ჩკალოვს, გ. ფ. ბაიდუკოვს და ა. ვ. ბელიაკოვს თვითეულს ოცდაათი ათასი მანეთი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის 9 აგვისტო.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურზე

10 აგვისტოს 13 საათზე „ჩრდილოეთის პოლუსის“ მოდრეიფე სადგურის კოორდინატები იყო შემდეგი: განედის 87 გრადუსი და 45 წუთი და დასავლეთის გრძედის 3 გრადუსი.

სადგურზე ძლიერ თოვდა, ხილვადობა 1 კილომეტრი. ჰქროდა ხუთბალიანი ქარი. ტემპერატურა 0 გრადუსი.

ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი საბჭოთა კავშირში ბრუნდებიან

ლონდონი, 9 აგვისტო (საქდესი). მოსკოვ - კალიფორნიის მარშრუტით ტრანსპოლარული გადაფრენის გმირები ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ბრუნდებიან, საფრანგეთის გემ „ნორმანდიით“ საუტგემპტონში (ინგლისი) ჩავიდნენ. საუტგემპტონში გმირ ფრინავებს შეხვდნენ წარმომადგენლები სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა ინგლისში

სკოლა საზღვარგარეთ

პოლონეთი სიბნელის სამეფოა

მიუხედავად სასტიკი ცენზურის და ყოველმხრივი ბეჯითობისა ემსახუროს გაბატონებულ კლასებს არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ, პოლონურ პრესას უკვე აღარ შეუძლია ხმა გაიკმინდოს მოზარდი თაობის სულ უფროდაუფრო ზრდად გაჭირვებაზე. დროგამოშვებით მას უხდება წეროს ამის შესახებ. „ილუსტროვანი კურიერ ცოდზენი“ აღწერს კრაკოვის სტუდენტობის ცხოვრებას:

„კრაკოვში (ვარშავის ქ. № 6) არის სასადილო მათხოვრებისა და უმუშევრებისათვის. და მუდამ, ამ მთელი ქალაქის მათხოვრებით გაჭედილ სასადილოში, თქვენ შეხვდებით მოსადილეთა შორის დიდი რაოდენობით სტუდენტებს და სტუდენტ ქალებს... მაგრამ ამ გროშიან „წვენსაც“ ხშირად იყოფენ სტუდენტები ორად ან ოთხად... მე ვიცნობ სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ორ სტუდენტ ქალს, რომლებიც დიდხანს იყოფდნენ ერთმანეთში ამ მათხოვრულ „სადილს“, დამამცირებლად იხვეწებოდნენ რა გაედიდებიათ მათთვის „პორცია“...

„კურიერ ვილენსკიმ“ მიმართა უნივერსიტეტებში შემსვლელთა ასეთი დამახასიათებელი მოწოდებით:

„ინტელიგენციის სიჭარბესთან დაკავშირებით დაფიქრდით, რა უნდა გააკეთოთ... ჩვენი ქვეყანა უკვე საკმაოდ კულტურულია და ინტელიგენცია მეტი არ ესაჭიროება. და თუ შეგვეკითხებით ჩვენ: „აბა ჩვენ რა გავაკეთოთ?“—გიპასუხებთ: „ქსოვეთ წინდები, ამტვრიეთ ქვები, შედით არმიაში თუ კი არ გსურთ, მიიღეთ სტრიქნინი“.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობებით).

ცენტრალური ფრონტი

9 აგვისტოს ვალანუევა დელ კანიადის სექტორში რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში. მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა.

რესპუბლიკელთა პოზიციების მახლობლად მადრიდის სექტორში აფეთქდა დენთის საწყობი.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ტერუელის სექტორში მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე ფრიას დე ალბარასინის რაიონში. იერიში მოგერიებულია.

შეტაკებანი მეამბოხეთა ბანაკში

პარიზი, 10 აგვისტო (საქდესი). რესპუბლიკელთა პოზიციების სიახლოვე მეამბოხეთა პოზიციებთან (ზოგჯერ სულ რამდენიმე მეტრით) ხშირად საშუალებას აძლევს რესპუბლიკელებს გაიგონ, რა ხდება მეამბოხეთა შორის. ჩრდილოეთის ფრონტზე, როგორც რესპუბლიკელი მეომრები გადმოგვცემენ, უთანხმოება მეამბოხეთა შორის ძალიან ხშირად თავდება ნამდვილი შეტაკებით; მიმართავენ შაშხანებს, ყუმბარებსა და ტყვიამფრქვევებსაც კი. ასეთი შეტაკება მოხდა 8 აგვისტოს მეამბოხეთა ბანაკში — ბერენდულში და კომპლასერის გვირაბში.

3 აგვისტოს ტეტუანში ჩამოსულმა 275 დაჭრილმა მაროკოელმა განაცხადა, რომ გრენადის რაიონში ამას წინათ მოხდა გაფთრებული შეტაკება მაროკოელებსა და უცხოეთის ჯარებს შორის. მოკლული და დაჭრილია 150 კაცი, მეტწილად იტალიელები.

იაპონიის ინტერვენცია ჩინეთში

ჩინეთის დასახმარებლად

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 7 ათას ამერიკელს, მათ რიცხვში ათას მფრინავს, სურს შევიდეს ინტერნაციონალურ დივიზიაში ჩინეთის დასახმარებლად იაპონიის წინააღმდეგ.

იაპონიის ჯარების იერიში მოგერიებულია

შანხაი, 10 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „შიშისინბაო“ იუწყება, რომ გუშინ იაპონიის ჯარებმა იერიში მიიტანეს ჩინელებზე ძინხაის სადგურის რაიონში, ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე. იერიში მოგერიებულ იქნა. იაპონიის ჯარებმა უკან დაიხიეს. ჩინელთა მიერ მიღებულმა დამხმარე ძალებმა დაიკავეს რაიონი ძინხაის ჩრდილოეთით.

სენტრალ ნიუსის სააგენტო იტყობინება, რომ გუშინ ბეიპინში შევიდა 3 ათასამდე იაპონელი ჯარისკაცი.

იაპონიის ჯარებმა დაიკავეს ბეიპინი

ლონდონი, 9 აგვისტო (საქდესი). იაპონიის ჯარები გუშინ სავსებით დაეუფლნენ ძალაუფლებას ბეიპინში. იაპონიის ოთხი ათასმა ჯარისკაცმა გაიარა ქალაქში და დაიკავა ჩინელთა მთავარი ყაზარმები. ქვეითი ჯარის ნაწილებს გარდა ბეიპინში გაიგზავნა ცხენოსანი რაზმები, 15 ტანკი, 10 მძიმე ქვემეხი, საველე არტილერიის ბატარეები, საბარგულები და დიდძალი საჭურველი და სამხედრო ქონება.

ესპანური ხუროთმოძღვრების ისტორიული ძეგლები ფაშისტ მეამბოხეთა და გერმანელ — იტალიელ ინტერვენტთა გან დანგრეული.
სურათზე: დ. ენაროსის ალკალას უნივერსიტეტის შენობა (მე- 17 ს.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას ჩაშლის საფრთხე ემუქრება

ბათომი, 10 აგვისტო (საქდესი). აჭარის 356 სკოლაში, გარდა ტექნიკუმებისა, მომავალ სასწავლო წელს ისწავლის 28.000 მოსწავლე. სასწავლო წელი მოახლოვდა, მაგრამ მისთვის მზადება ძალიან სუსტად მიმდინარეობს.

სოფელ ზემო ჯოჯოში (ბათომის რაიონი) დაწყებითი სკოლის მშენებლობას დღემდეც არ შესდგომიან. სოფელ ძენაძეებში (ქედის რაიონი) დაწყებითი სკოლა მზად არის მხოლოდ 40 პროცენტით, ხოლო ქალაქ ბათომის საშუალო სკოლა—72 პროცენტით.

უკეთესად როდია საქმე სკოლების რემონტის მხრივ. 56 სკოლიდან, რომლებიც კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ, რემონტი დაწყებულია მხოლოდ ცხრა სკოლაში. 125 სკოლიდან, რომლებიც ჩვეულებრივ რემონტს საჭიროებენ, შეკეთებულია მხოლოდ 69 სკოლა.

ნელი ტემპებით სწარმოებს სკოლებისათვის საჭირო ინვენტარის დამზადება. ახალი პარტების შეძენის გეგმა სანახევროდაც კი არ არის შესრულებული. კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია საქმე საკლასო დაფების, შკაფების, მაგიდების დამზადების მხრივ. 356 სკოლიდან მხოლოდ 80 სკოლამ უზრუნველჰყო თავი ზამთრისათვის საჭირო შეშით.

აჭარკოოპკავშირის ბათომის ბაზაში და სახელგამის განყოფილებაში ოთ თვეზე მეტია, რაც უძრავად აწყვია დაახლოებით 100.000 ცალი სხვადასხვა სახელმძღვანელო, რომლებიც გამოგზავნილია თბილისიდან სასოფლო ადგილებში რეალიზაციისათვის.

დირექტორები ქეიფობენ—სკოლა უპატრონოდაა

ზედა-საზანოს (ჩხარის რ.) საშუალო სკოლის მშენებლობა დაიწყო 1935 წელს, მაგრამ დღემდე მხოლოდ პირველი სართულის ნახევარიც არ არის აშენებული.

1937 წელს გადმორიცხული 40 ათასი მანეთი ვერ აითვისეს მშენებლობის უხეირო ხელმძღვანელებმა. მასალა უპატრონოდ ყრია და ნიავდება.

არ მიმდინარეობს ინვენტარისა და იათაკების გარემონტება და ახალის შეძენა, სკოლის ნაკვეთი შემოუღობავია და დაუმუშავებელი. ერთი სიტყვით, სკოლა უპატრონოდაა მიტოვებული.

სად არის ამ დროს სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის დირექტორ ქერქაძეს და სასწავლო ნაწილის გამგე მ. აბესაძეს სკოლისათვის არ სცალიათ, სოფელსოფელ დადიან და ქეიფობენ. ხუ თუ ჩხარის განათლების განყოფილება არ მიხედავს უპატრონოდ მიტოვებულ სკოლას?!

ნ. ჩუბინიძე.

მისაღები გამოცდები სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში

წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ოთხ ფაკულტეტზე — სუბტროპიკულ, აგრონომიულ, საინჟინერო-მექანიკურ და მებაღეობა - მევენახეობის ფაკულტეტებზე უნდა მიიღოს 200 კაცი.

მიღების უზრუნველსაყოფად ინსტიტუტის დირექციამ ჩაატარა მოსამზადებელი მუშაობა. რესპუბლიკის რაიონებსა, უდიდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნა 10 ინსტრუქტორი, რომლებმაც გააცნეს ახალგაზრდობას ინსტიტუტის მუშაობა.

200 ადგილზე შეტანილი იყო 396 განცხადება, მათგან გამოცდებზე დაშვებულ იქნა 367 კაცი.

8 აგვისტოსათვის 150 შემსვლელმა უკვე ჩააბარა გამოცდა ფიზიკასა, ქიმიასა, გეოგრაფიასა და პოლიტცოდნაში. ინსტიტუტის დირექტორის სიტყვით, გამოცდების ჩამბარებელთა მომზადება შარშანდელზე რამდენადმე უფრო მაღალია. სუსტია მომზადება მათემატიკასა და გეოგრაფიაში. სუსტი პასუხების ყველაზე მეტი პროცენტი ამ საგნებზე მოდის.

ჩამბარებელთათვის მოწყობილია კონსულტაციები ყველა საგანში, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ პასუხი მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე (საქდესი).

მზადება სასწავლო წლისათვის ქუთაისის რაიონში

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ქუთაისის რაიონში სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე ამხ. დ. რუხაძემ განაცხადა: ქუთაისში შენდება ერთი შენობა საშუალო სკოლისათვის, რომლის დამთავრება გაჭიანურდა საქმშენის მოუქნელი მუშაობის გამო. მან დღემდე ვერ უზრუნველჰყო მშენებლობისათვის საჭირო მუშახელის სწორი ორგანიზაცია, დროულად არ მიიღო ზომები საშენი მასალის მომარაგებისათვის და სხვ., რის შედეგად დღემდე შესრულებულია სამუშაოთა მხოლოდ [illegible] პროც. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ქალაქის საბჭომ მიიღო ენერგიული ზომები და გვფიქრობთ, რომ 25 აგვისტოსათვის შენობა მზად იქნება. საბავშვო ბაღის მშენებლობა უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია: დღემდე ჩაყრილია საძირკველი და მოზიდულია საშენი მასალის ერთი ნაწილი, მაგრამ რადაც უნდა დაგვიჯდეს, საბავშვო ბაღის შენობასაც მოვამთავრებთ იქ მუშაობის დაწყებამდე 1-ლ ოქტომბრამდე.

რემონტი ქუთაისის სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს. მთელი რიგი სკოლები (1,12 და სხვ.) უკვე მზად არიან სასწავლო წლისათვის. რაც შეეხება სოფლის სკოლებს, იქაც წარმატებით მიმდინარეობს რემონტი. ჩამორჩება მხოლოდ წყალტუბოს, გუმბრინის და სიმონეთის სკოლები. სოფ. ბარდუბანში შენდება ახალი სასკოლო შენობა, რომლის დამთავრება სასწავლო წლის დაწყებამდე მეტად საეჭვოა.

სკოლების დაკომპლექტება მასწავლებლებით უკვე დამთავრდა. მოიხსნენ სამუშაოდან ხალხის მტრები სისხლიანი ფაშიზმის აგენტები: ვარ. იმნაძე, ილ. მაჭავარიანი, ტრ. ჯაფარიძე, ვარ. ლექვინაძე, ვას. ბალანჩივაძე და სხვები, რომლებიც ამჟამად გამოვლინებულია. მათი ადგილები დაიკავეს ახალგაზრდა მასწავლებლებმა, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი სპეციალური განათლება. საერთოდ მომავალი სასწავლო წლიდან საშუალო და არასრულ საშუალო სკოლებში გვეყოლება მხოლოდ უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლობა.

იხსნება სოფლად (დერჩი, კვახჭირი და სხვ.) მერვე კლასები, რომლებიც უკვე დაკომპლექტებულია როგორც მასწავლებლებით, ისე მოსწავლეებით.

დამთავრდა აღწერა როგორც ქალაქად ისე სოფლად სასკოლო ასაკის ბავშვთა, რომლებიც ჩაბმული იქნებიან სკოლებში.



თბილისი. საქ. საზაფხულო საპლანერო სკოლაში პლანერის დაუფლების პირველი საფეხურის ვარჯიშობა.
სურათზე: სტალინის რაიონის მე-50 სკოლის მოწაფე კომკავშირელი იური ეგოროვი ახდენს ვარჯიშობას პლანერზე

დაუსრულებელი მშენებლობა

ხალხის მტრები, მავნებლები, კონტრრევოლუციონერები თავისი ბნელი საქმიანობით ცდილობდნენ დაერღვიათ ჩვენი ბედნიერი და საამური ცხოვრება.

ასეთი არამზადები აღმოჩნდნენ გურჯაანის რაიონშიც: რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ოქროპირიძე, განათლების განყოფილების ყოფილი გამგე ვასო ჰყონია, გაზ. „კოლექტიური შრომის“ ყოფილი რედაქტორი ნიკო ზავრიშვილი და სხვები. ესენი უკვე ნიღაბჩამოხდილი არიან, მათი ველური მოქმედება გამოაშკარავებულია.

ეს სამგზის საზიზღრები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ახალი სასწავლო წლის მზადების ჩაშლას. — გურჯაანის რაიონში ახალი სკოლების მშენებლობა და ძველის რემონტი სამარცხვინოდ ჩამორჩა.

ავალაპარაკოთ ფაქტები: ზემო-გურჯაანის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლების მცხოვრებთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. აქ 2500 მეტი სასკოლო ასაკის ბავშვია, მათ სწავლა-განათლებას დიდი წყურვილი აქვთ, მაგრამ ამის ნორმალური საშუალება არ ეძლევათ — საშუალო სკოლას ბინა სავსებით უვარგისია: ჩამტვრეული ფანჯრები, დამპალი იატაკი, ჩამონგრეული კედლები, გაოხრებული სახურავი, დანჯღრეული პარტები, სამფეხა სკამები და მაგიდები — აი ამ სკოლის შინაური მოწყობილობა.

1933 წელს დაწყებულ იქნა ახალი 44 ოთახიანი სასკოლო შენობა, რომელიც უნდა დამთავრებულიყო ჯერ კიდევ 1936-37 სასწავლო წლისათვის, მაგრამ მავნებლურმა მოქმედებამ იქამდე მიიყვანა, რომ ეს მშენებლობა წელსაც ვერ დასრულდება.

ეს აღმაშფოთებელი მდგომარეობა სკოლის დირექტორს თ. მეავიას სრულებით არ აფიქრებს. წელს თუ არა, მომავალ წლისათვის მაინც მოვესწრებითო, ამბობს უდარდელი დირექტორი.

არც ერთ სასწავლო ოთახში დაფები და მაგიდები არ არის. სკოლაში მეცადინეობის დროს, წყლის უქონლობის გამო, ბავშვები თავიანთ ოჯახებში გარბიან წყლის დასალევად, რაც აფერხებს ნორმალურ მეცადინეობას. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციას ჯერაც არ უფიქრია წყლის საკითხის მოგვარებაზე.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შეუფასებლობას აშკარად ხედავდა საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომისა და რაიაღმასკომის ორგანო გაზ. „კოლექტიური შრომის“ ყოფილი რედაქტორი, ახლა უკვე ნიღაბჩამოხდილი ხალხის მტერი ნიკო ზავრიშვილი, მაგრამ ის არ ამჟღავნებდა გაზეთის ფურცლებზე ზემო-გურჯაანის სკოლის ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ხელის შემშლელს, კერძოდ ჰყონიას და უდარდელ მეავიას.

საბჭოთა სკოლა უნდა გავწმინდოთ ხალხის მტრებისაგან და დაუყოვნებლივ ავანაზღაუროთ დაკარგული დღეები სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში.

ფილ. გვაძაბია.

აღმოვფხვრათ მავნებლობის შედეგები განათლების ფრონტზე

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგ სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში თანამედროვე ტროცკისტების შესახებ განაცხადა, რომ „ტროცკიზმი გადაიქცა მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა და მკვლელთა პირწავარდნილ და უპრინციპო ბანდად, რომლებიც მოქმედობენ უცხოეთის სახელმწიფოების მზვერავ ორგანოთა დავალებით“.

ტროცკისტულ - ზინოვიევურ-ბუხარინულ ავაზაკებისაგან შემდგარი ბანდა არაფრის წინაშე არ იხევდნენ უკან, მათ საზიზღარი საქმიანობას შეადგენდა: მაღაროების აფეთქება, მატარებლების დამსხვრევა, ხალხის დოვლათისათვის ცეცხლის წაკიდება, სახალხო მეურნეობის გეგმის ჩაშლა, სოციალისტური სამშობლოს მიყიდვა ფაშისტურ სახელმწიფოებისათვის და სხვ.

მავნებლობამ თავი იჩინა, არა მარტო სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციებში, არამედ კულტურულ ფრონტზეც. აქაც შეძვრენ ეს ჯაშუშები, ხალხის მტრები, და მავნებლები. მათ ისარგებლეს მით, რომ განათლების ზოგიერთი რგოლი მოკლებული იყო ბოლშევიკურ სიფხიზლეს, ფართოდ არ იყო გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაბატონებული იყო უდარდელობა, თვითდამშვიდება, თავის ქებისა და მაამებლობის ატმოსფერო.

განათლების კომისარიატი და მისი ორგანოები თითქმის დამშვიდებას მიეცნენ მის შემდეგ, რაც გამოვლინებული იქნა ხალხის მტერი—ჯაშუში, მოღალატე მ. ტოროშელიძე, რომელიც ცოტა დროის განმავლობაში სათავეშიც კი უდგა სახალხო განათლების საქმეს. განსახკომის პარტორგანიზაციამ უკანასკნელ დრომდე ვერ შეამჩნია, რომ განათლების კომისარიატში დარჩა გამყიდველი ტოროშელიძის მარჯვენა ხელი, ხალხის მოღალატე, მლიქვნელი, გაიძვერა, ფედერალისტური ნაგავი შ. გეგენავა. ის დიდხანს იყო მოკალათებული განათლების სახალხო კომისრის მოადგილის სავარძელში და მთელ რიგ წლების განმავლობაში ეწეოდა განათლების კომისარიატში მავნებლურ მუშაობას: იკრებდა თავის გარშემო მოლაყბე, უკმაყოფილო და კონტრრევოლუციონერ პირებს, ხელოვნურად ქმნიდა მასწავლებელთა შორის უკმაყოფილებას, მთელ რიგ რაიონებში ნიშნავდა მასწავლებლებად თავის კაცებს - ფაშიზმის აგენტებს, ღამეებს ათევდა და ქეიფობდა ახლა გამოვლინებულ ხალხის მტერ მასწავლებელ მისაბიშვილთან.

მოღალატე გეგენავა დიდხანს მუშაობდა ხელიხელ ჩაკიდებული და ეწეოდა მავნებლობას ჯაშუშ არამზადა აკ. თათარიშვილთან ერთად.

სასკოლო მშენებლობათა პროექტების დამტკიცებას და თანხების გაღებას განგებ აგვიანებდა, რის შედეგად მთელ რიგ რაიონებში, წლობით ჭიანურდებოდა სასკოლო მშენებლობა; განსახკომის ბიუჯეტი, რომელსაც „განაგებდა“ გაიძვერა გეგენავა, სრულ ქაოსამდე მიიყვანა, რომ დაეფარა თანხების უკანონო გაცემა, რასაც ფართოდ მიმართავდა ის. უკმაყოფილების შექმნის მიზნით ხელოვნურად ქმნიდა მასწავლებელთა ხელფასის დავალიანებას, სისტემატურად შეჰყავდა შეცდომაში ზემდგომი ორგანოები სასკოლო მშენებლობისა და ახალი თაობის სწავლა-აღზრდის მიმდინარეობის შესახებ. ის არანაკლებად უწყობდა ხელს „სკოლის კვდომის“ თეორიას, —ფაშისტური ცრუმეცნიერების —პედოლოგიის დანერგვას და ამახინჯებდა პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს. ყოველნაირად ცდილობდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ჩაშლას, რასაც ადასტურებს 40—45 ათასი მოსწავლის განთესვა დაწყებითი სკოლებში. მთელ რიგ რაიონებში — გურჯაანის, წულუკიძის და სხვ. ჯაშუშ გეგენავას აგენტებმა—ოქროპირიძე, ჰყონია, ნადარეიშვილმა და სხვ. არამზადებმა საფრთხის წინაში დააყენეს მზადება სასწავლო წლისათვის.

გეგენავა უშუალო გამგრძელებელი იყო ხალხის მოსისხლე მტრის მარ. ორახელაშვილის მავნებლური მუშაობისა.

განათლების სახალხო კომისარიატში ხალხის მტრის ტროცკისტ შ. გეგენავას ყურთმოჭრილ კაცად ითვლებოდა მოზრდილთა განათლების სამმართველოს ყოფილი უფროსი ჯაშუში ხალხის მტერი აწ მხილებული კ. ბარამიძე, რომელიც სისტემატურად ეწეოდა პარტიის და მთავრობის დადგენილებათა დისკრედიტაციას. შექონდა მასწავლებელთა მასებში დეზორგანიზაცია; ჩაფუშა მოზრდილთა განათლების საქმე, ჩაშალა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის გეგმა. ზემდგომ ორგანოებს კი არწმუნებდა: „ყველაფერი რიგზეაო“ და ეს იმ დროს, როცა ამ არამზადას მავნებლური მუშაობის შედეგად დღემდე კიდევ დარჩენილა 90-ათასამდე წერა-კითხვის უცოდინარი. სამაგიეროდ ის ცდილობდა გაეძლიერებია კავშირი უკმაყოფილო და უცხო ელემენტებთან. ლოთობა და გარყვნილება—აი ამ მავნებლის დამახასიათებელი თვისებანი.

კიდევ ერთი ფაქტი: განსახკომის პარტორგანიზაციის ერთერთ კრებაზე გაიძვერა კ. ბარამიძემ მზაკვრულად განაცხადა: „ჯაშუშების მხილება ძნელია, ამისათვის საჭიროა შენ თვითონვე გახდე ჯაშუშადო“. რითაც უკვე ჯაშუში ბარამიძე შეეცადა ფაშიზმის ნიღაბის შენარჩუნებას, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო.

განათლების ფრონტზე მოქმედ ხალხის მოღალატეთა და ჯაშუშთა ტოროშელიძე- გეგენავა - ორაგველიძე-თათარიშვილი-ბარამიძის ნაგავი არ იქნება მთლიანი, თუ არ დავახასიათებთ ერთ ორპირ მოღალატეს, გაიძვერა ბებრუხანა კ. ქაცარავას, რომელიც 13 წლის განმავლობაში „ხელმძღვანელობდა“ თბილისის განათლების განყოფილებას. მლაკუდობით და გაიძვერობით ცდილობდა ის მოეპოვებია მასწავლებელთა შორის ავტორიტეტი. თვალთმაქცობით და სიყალბით უნდოდა გასულიყო ფონს. დავიწყოთ თუ გინდ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციიდან: მან ჯერ კიდევ 1932 წელს ამცნო ქვეყანას, რომ თბილისში წერა-კითხვის უცოდინარობა მთლიანად ლიკვიდირებულია; და ეს იმ დროს, როცა თბილისში 20 ათასზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

გასულ წელს ქაცარავას ბოროტი ხელის შედეგად სასკოლო მშენებლობის დარგში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ მავნებლობას: მე-18 საშუალო სკოლაში ჩაინგრა ფიქალი, დასკდა ღუმელები, რის გამო სასკოლო ოთახები არ თბებოდა, მოსწავლეები სიცივით ძიგძიგებდნენ; მე-72 სკოლის შენობამ დაიწია, კედლები დასკდა, რამაც გამოიწვია რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი; ახლადაშენებულ თითქმის ყველა სკოლაში დასკდა წყლის მილები, რის შედეგად ჩამოინგრა კედლები და სხვ.

ხალხის გამყიდველი ქაცარავა დევნიდა მასწავლებელთა ახალ კადრებს. სკოლებში ნიშნავდა თავისიანებს—ხალხის მტრებს და მოღალატეებს, ჯიჯიეიშვილებს, სულაქველიძეებს, ბრეიტმანებს და სხვ. არამზადებს, რომლებიც ეწეოდნენ მავნებლურ მუშაობას.

განათლების განყოფილებაში და სკოლებში ჩახშული იყო კრიტიკა „სხვაგან არსად წამოგცდეთ ასეთები, თორემ ხომ იცითო!“—აშინებდა თანამშრომლებს, რომლებიც გაბედავ-

გამაჯანსაღებელი მოედანი სუსტად მუშაობს

თბილისის ბოტანიკურ ბაღში კიროვის რაიონის განათლების განყოფილებამ გახსნა ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მოედანი, სადაც 100 სკოლამდელი ბავშვი ისვენებს.

აქ ბავშვები შეექცევიან მსუყე საჭმელებს, ცელქობენ, ნავარდობენ და მხიარულად ატარებენ დროს. ყოველ დღე დილის 8 სათიდან საღამოს 8 საათამდე მწვანე ნარგავებს შორის, სუფთა ჰაერზე პაწიათა საამური ჟრიამული გაისმის.

ერთი შეხედვით მნახველს ეგონება, რომ ყველაფერი თავის რიგზეა — პაწიები ისვენებენ, ერთობიან, მაგრამ საქმის ახლოს გაცნობით მრავალი ნაკლი გადაიშლება თვალწინ.

ბავშვთა შორის აღმზრდელობითი ჩვევების განსამტკიცებლად არაა ზომები მიღებული ზოგიერთ მასწავლებლისა და ექიმ სტემპელის უყურადღებობით. ბავშვები ხელდაუბანელად ჭამენ. მაგალითად, 4 აგვისტოს მოედნის დათვალიერების დროს ჩვენ ვნახეთ: პაწიები ხელდაუბანელად მიუსხდნენ სუფრას.

მხიარულებისა და გართობის შემდეგ საერთოდ მიღებული რეჟიმის მიხედვით ნაშუადღევს ბავშვებს 2 საათი უნდა ეძინოთ მოსვენების მიზნით. მაგრამ სად დაიძინონ. როდესაც ყველასათვის საწოლი არ არის. არც ტანსაცმლის საკიდი არის საკმაო რაოდენობით—ორი და სამი ბავშვის ტანსამოსი ერთადაა დაკიდებული. ასევე არეულია და უწესრიგოდაა ერთმანეთზე დაყრილი ბავშვების ბალიშები და ლეიბები, რაც ჰიგიენის დაცვის მხრივ დაუშვებელია, ამავე დროს ბავშვს დიდხანს უნდება თავისი ტანსამოს-წინასაფრის ძებნა და ზოგჯერ სხვისას იცვამს.

იყო ასეთი შემთხვევაც, მასწავლებლის უყურადღებობით სკოლამდელი ნორიკ ჩაგელიანი სადღაც დაიკარგა და მშობლებმა დიდი ძებნის შემდეგ ის ძლივს იპოვნეს, მაგრამ მოედანს ეს ბავშვი შემდეგ აღარც კი მოკარებია.

არა აქვთ ჯგუფის სამუშაო გეგმები ცალკე მასწავლებლებს. მაგ., ქართული ჯგუფის მასწავლებელ ვ. რიჟამაძეს, როცა მას ინსტრუქტორ ჯანჯღავამ სამუშაო გეგმა მოსთხოვა, მან უკმეხად განუცხადა: გეგმა მე ხელზე არა მაქვს, ის პირველი წყების მასწავლებელს გაყვა. ჩანდა, რომ ეს არ იყო მართალი. ბავშვებს სურთ სიმღერა, ცეკვა, თამაში, მაგრამ ამას ამ ჯგუფში ადგილი არა აქვს.

სამზარეულო დღემდე არაა მოწყობილი და სადილებს გარეთ აკეთებენ. მაგრამ ერთიც ვნახოთ და წვიმა მოვიდა, მაშინ რაღას იზამენ! აქ დიდი ხანია აშენებენ სამზარეულოს. პირველად მისი აშენება 2500 მან. უნდა დამჯდარიყო, მაგრამ მასზე უკვე 4000 მანეთია დახარჯული და ჯერაც არაა დამთავრებული. საკითხავია, რა აზრი აქვს აწ სამზარეულოს აგებას, ვინაიდან მოედანმა მალე უნდა დაასრულოს თავისი მუშაობა.

ბავშვთა საექიმო მომსახურეობა, რომ ძალზე ცუდადაა დაყენებული მოედანზე, რომ ექიმი სტემპელი გულგრილობას იჩენს საქმისადმი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბავშვთა აწონვა, თუ რამდენი მოიმატეს მათ, ჯერაც არ მოუხდენიათ.

საჭიროა სასწრაფოდ გამოსწორდეს მდგომარეობა.

ვ. ბუხაიძე.

მზად არიან ახალი სასწავლო წლისათვის

თბილისის მე-34 საშ. სკოლაში რემონტი დაიწყო 2-ს და დამთავრდა 10 ივლისს. სკოლის შენობა შეკეთებულია სათოძილიანათ, შეკეთებულია აგრეთვე მთელი სასკოლო ინვენტარი. შეღებილია 224 პარტა, 14 სკამი, 12 დაფა სხვ. შეძენილია 30 ცალი ახალი სკამი წიგნის შკაფები და სხვ.

სკოლის ადმინისტრაციამ (დირექტორი ალ. ჭიჭინაძე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მომავალ სასწავლო წლისათვის სასკოლო კაბინეტების მოწყობას. თუ გასულ წელს სკოლას არ ჰქონდა გეოგრაფიის კაბინეტი, წელს ამ კაბინეტისათვის შეძენილია დიდძალი ხელსაწყო: რუკები, ატლასები. გლობუსები, სურათები და სხვ. შეძენილია აგრეთვე ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის ხელსაწყოები 1200 მან. ბიბლიოთეკა შეივსებულია 700 მან. ახალი ლიტერატურით. ეზოს გამწვანებაზე დაიხარჯა 1700 მან.

სკოლა უზრუნველყოფილია შეშით.

ჩ.



სურათზე: ყვარელის საბჭოთა მეურნეობის პარკში აშენებული „კულტურის სასახლე"

ფოტო ტორისა („ს. ფ." საქ. განყ.)

სასწავლო დროის მომჭირნეობით გამოყენებისათვის

სკოლა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საპასუხისმგებლო უბანია. აქ იჭედება მომავალი კადრები: ინჟინრები, ექიმები, აგრონომები მასწავლებლები და სხვ. სკოლას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი პარტია და პირადად ჩვენი მშობლიური დიდი **სტალინი.**

სტალინური მზრუნველობა ავალებს მასწავლებლებს არც ერთი წუთი კლასში მუშაობის დროს არ დარჩეს გამოუყენებელი. სასტიკად უნდა დავიცვათ დროის ეკონომია. ამისათვის საჭიროა მთელი რიგი პირობები: შრომის კარგი ორგანიზაცია, მუშაობის დაზუსტებული გეგმა, შრომის რაციონალური ხერხების გამოყენება, მუშაობის შედეგების სისტემატური შემოწმება და სხვ.

თუ მასწავლებელმა არ იზრუნა მტკიცე დისციპლინაზე, არ შეადგინა მუშაობის გეგმა, არ მიაჩვია მოწაფეები მუშაობას, არ გაეცნო ის მათი მომზადების დონეს, არ არის დაუფლებული სწავლების ხერხებს, არ იცის მან ბავშვის ბუნება, მისი მუშაობა სკოლაში არ იქნება ნაყოფიერი.

მასწავლებელმა კარგად უნდა შეისწავლოს პედაგოგიური მუშაობა და რაციონალურად გამოიყენოს სასწავლო დრო.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სასწავლო წლის პირველი დღიდანვე ნორმალური მეცადინეობისათვის. ჩვეულებრივ კი ადგილობრივი ორგანიზაციები აგვიანებენ სკოლის რემონტს, სასწავლო ნივთების შეძენას და სხვ. ამით ფერხდება ნორმალური სასკოლო მუშაობის დაწყება. უნდა აღვკვეთოთ ასეთი მავნე პრაქტიკა.

გამოცდილებიდან ვიცით, რომ ნაცვლად 45 წუთისა გაკვეთილი ზოგან ფაქტიურად გრძელდება 35-38 წუთს. ამის მიზეზი სხვადასხვაა: აგვიანებენ გაკვეთილებზე მოსწავლეები და მასწავლებლები, იკარგება დრო სასწავლო ნივთების მომზადება-დარიგებაზე, ზედმეტ ლაპარაკზე, კერძო შენიშვნებზე და სხვ. სტენოგრაფიულად რომ ჩავიწეროთ ჩვეულებრივი გაკვეთილი, თვითონ მასწავლებელს გაუკვირდება, თუ რამდენ არასაჭირო სიტყვას ამბობს ის გაკვეთილის დროს. მაგალითად, ზოგი მასწავლებელი ხშირად ხმარობს ასეთ ზედმეტ ფრაზებს: „აი, ახლა გვეტყვის ჩვენ ამას"... „ახლა გვეტყვის ამასვე"... და სხვ. ასეთი ზედმეტი სიტყვები აფერხებს ბავშვის ყურადღებას და ადუნებს გაკვეთილს.

მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ წესრიგს, დარეკის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიკავონ თავიანთი ადგილები, წინასწარ უნდა იქნეს მომზადებული ცარცი, ჩვარი, დაფა და სხვ. თუ მასწავლებელი უჩვენებს ხოლმე ბავშვებს, რომ ის ზოგავს დროს, ბავშვებიც მიეჩვევიან მის დაზოგვას. არის შემთხვევა, როცა გაკვეთილის წინ მასწავლებელი ამზადებს მასალას, რომელიც შინ უნდა დაემუშავებია. მოუმზადებლობა აგდებს მასწავლებელს უხერხულ მდგომარეობაში: ის გადადის ერთი საკითხიდან მეორეზე, სტოვებს მთავარს, უფრო ხანგრძლივად ჩერდება წვრილმანებზე, ერთი სიტყვით, კარგავს დროს. მასწავლებელი დახელოვნდება, როგორც თავისი საქმის ოსტატი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემზადება თითოეული გაკვეთილისათვის. ეს საჭიროა ყველა მასწავლებლისათვის, როგორი გამოცდილებისაც არ უნდა იყოს-ის, მით უფრო, ახალგაზრდა მასწავლებლისათვის.

ზოგჯერ ბავშვები მოუთმენლად სხედან გაკვეთილის გათავებამდე და დიდი ენერგიის დახარჯვა სჭირდება მასწავლებელს, რომ დაამყაროს დისციპლინა. ეს ხდება იმიტომ, რომ გაკვეთილი არ არის საინტერესო. რასაკვირველია, მოსწავლეს ასეთი გაკვეთილიდან არაფერი გამოაქვს. ბავშვთა დიდი პროცენტი ასეთი მეცადინეობის დროს ჩამორჩენილია. უნდა ვიცნობდეთ ბავშვის ბუნებას, ვიცოდეთ, რა იწვევს მასში ინტერესს და როგორ პირობებში. უნდა მივიღოთ მხედველობაში ყოველივე ეს და ამის მიხედვით წარვმართოთ ჩვენი მუშაობა.

მასწავლებელი დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრას როგორც თითოეულ მოწაფეს, ისე მთლიანად კლასს. უნდა შესძლოს პედპროცესის სწორად ორგანიზირება.

ნაყოფიერი და სასწავლო დროის რაციონალური გამოყენებით მუშაობისათვის მასწავლებელი კარგად უნდა დაეუფლოს თავის საგანს და მის მეთოდიკას, და გამოიმუშაოს გაკვეთილის ყოველი წუთის მიზანშეწონილად გამოყენებისა და სრულიად ათვისების ჩვევები.

მიხ. ჩინჩალაძე

დნენ ხოლმე დივერსანტ ქაცარავას „საქმიანობის" გაკრიტიკებას.

სამაგიეროდ თავის გარშემო იკრებდა უცხო ელემენტებს. მაგალითად, ვინმე მელიქიშვილი, რომელმაც გააპარტახა დუშეთის საბავშვო სახლი, გაფლანგა იქ დიდძალი თანხები, მაგრამ დასჯის ნაცვლად ქაცარავამ ის დააწინაურა: დანიშნა თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლის დირექტორად. მასვე ჩააბარა პარტების სახელოსნო, სადაც ამზადებდა ყოვლად უვარგის პარტებს. მეორე ტიპი — არის ეს მომარაგების ბაზის გამგე ს. არუთინოვი, რომელმაც აავსო მოღალატე კ. ქაცარავას ოჯახი ნაირნაირი „ფეშქაშებით". ქაცარავას მითითებით ის ფართოდ ამარაგებდა სახელმწიფოს ხარჯზე ფაშისტ ბ. მდივანს და სხვა ხალხის მტრებს „ფეშქაშების" პრაქტიკას მიმართავდა ალბულაღის საბავშვო სახლის ყოფილი გამგე ქაცარავას კაცი დავთიანიც.

არამზადა ქაცარავა ერთგულად ასრულებდა სისხლიანი ფაშიზმის აგენტების: ნიორაძის, კ. მოდებაძისა და სხვ. დავალებებს. ტროცკიზმის ამ ნაბოლართა დირექტივით ის ხშირად ნიშნავდა კონტრრევოლუციონერ მასწავლებლებს, მაგალითად, გაიძვერა ბებერი ჯაშუში კ. მოდებაძე მას წერდა: „ამხ. კორნელ! ამის მომტანი უსათუოდ დანიშნე მასწავლებლად. ჩვენი საქმისათვის ის მეტად საჭირო და აუცილებელია". ეს „აუცილებელი" კაცი, რა თქმა უნდა, ჯაშუში და ფაშიზმის აგენტი გამოდგა.

ქაცარავას მავნებლური მუშაობის შედეგად მთელ რიგ სკოლებში გარღვევით მთავრდებოდა ხოლმე სასწავლო წელი. გაიზარდა მეორეწლიანობა, უდისციპლინობა და სხვ.

ქაცარავა უკანასკნელად დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ „მოღვაწეობდა", სადაც ჩაახშო პროფკავშირული მუშაობა. მასწავლებელთა შორის პოლიტ-მასობრივ მუშაობაზე ხომ ლაპარაკიც არ სურდა ქაცარავას, სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ზედმეტ ბარგად იყო მის მიერ აღიარებული. პროფკავშირული მუშაობისათვის ქაცარავას არ ეცალა. სამუშაო დღეს იგი ან სულ არ მოვიდოდა ანდა, თუ ინებებდა მოსვლას, ისიც დღის ბოლოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ. ამის გამო უამრავი საქმე ჭიანურდებოდა. არ ეცნობოდა არც ერთ მიწერ-მოწერას.

სამგზის საზიზღარი მოღალატე ქაცარავა იმდენად უსულგულო დამოკიდებულებას იჩენდა თანამშრომლებისადმი, რომ თანამშრომელს, რომელსაც მესამე სართულიდან ბავშვი ჩამოუვარდა და უკვდებოდა, ავტომანქანაც კი არ ათხოვა, რომ ბავშვი საავადმყოფოში წაეყვანათ, მანქანა კი მთელი დღე ეზოში უქმად იდგა. სამაგიეროდ იცავდა თავისი ჯურის ხალხს. მაგალითად, ქუთაისში მასწავლებლობიდან მოხსნეს ყოფილი მღვდელი ვინმე ხელაძე. ქაცარავა. ყოველნაირად შეეცადა აღედგინა ის.

ქაცარავა მარტო არ იყო. მას ჰყავდა „თავისი ხალხი" ძირეულ ქსელში. სახელდობრ: სამტრედიის რაიონში დაწყ. და საშ. სკ. მუშაკთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე კახიანი, თბილისის რაიონის ამავე კავშირის ყოფილი თავ-რე ხალხის მტერა დავითულიანი, აჭარის კავშირის საოლქო კომიტეტის ყოფილი თავ-რე ქანიშვილი, რომელთაც მფარველობდა ქაცარავა.

კულტურული ფრონტის მავნებელთა შესახებ ზემომოყვანილმა ფაქტებმა უნდა ჩააფიქროს განათლების დარგის ყველა მუშაკი. ჩვენ წმინდა მოვალეობას შეადგენს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე ბოლომდე გამოვამჟღავნოთ ტოროშელიძე-გეგენავა-ქაცარავა-ბარამიძისებური ჯაშუშები და მოღალატენი, სრულად ავხადოთ ფარდა მათ მიერ ჩადენილ მავნებლობას, რის ლიკვიდაციისათვის მიღებული უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები.

ჩვენ ახლა სულ სხვა თვალით უნდა შევიხედოთ სკოლის ცხოვრებაში ისეთ მოვლენებს, როგორიცაა, მასობრივი მეორეწლიანობა, უდისციპლინობა, მოსწავლეთა დაბალი აკადემიური დონე. უნდა გავიგოთ, ამ არანორმალურ მოვლენათა იქით ხომ არ იმალება ხალხის მტრის საზიზღარი ხელი. საჭიროა განათლების თითოეული მუშაკი შეიარაღდეს ბოლშევიზმით, რომ უკეთ შესძლოს შენიღბული მტრის გამოცნობა და განადგურება.

ბრძოლა ბოლშევიზმის დაუფლებისათვის და მავნებლობის სრული ლიკვიდაციისათვის — ასეთია საბრძოლო ამოცანა, რის განსახორციელებლად ერთსულოვნად უნდა დარაზმონ განათლების ფრონტის მუშაკნი.

სამკითხველო მოუქნელად მუშაობს

ხიდისთავი ჩოხატაურის რაიონში ყველაზე დიდ სოფსაბჭოს წარმოადგენს. აქ შემავალი სოფლები დაქსელილია კოლმეურნეობებით, რომელთაც ესაჭიროებათ კულტმომსახურეობა. მაგრამ ეს საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია.

ავალაპარაკოთ ფაქტები: ხიდისთავის ქოხსამკითხველოს არა აქვს კატალოგი, წიგნების გაცემა-დაბრუნება არ ხდება წესიერად; ქოხსამკითხველოში შეხვდებით აკრძალულ ლიტერატურას; ქოხსამკითხველოს გამგე ჩაფლულია საკანცელარიო მუშაობაში (თუმცა არც ეს აქვს კარგად მოგვარებული); კოლმეურნეობაში იშვიათად ტარდება გაზეთის ხმამაღალი კითხვა და სხვა სახის პოლიტიკურ - კულტურული მუშაობა; სუსტად მუშაობენ წრეები.

ქოხსამკითხველოს ნაკლებად უწევენ დახმარებას ამხ. ლ. ბერიას სახ. ხიდისთავის საშუალო სკოლის მასწავლებლები. მოჭადრაკეთა წრის (ხელმ. ი. კალანდაძე) არც ერთი მეცადინეობა არ ჩაუტარებია ლიტ. წრეში (ხელმძღვ. კ. ქერქაძე) მხოლოდ ერთი ლიტ. გასამართლება მოაწყო და ამაში გამოიხატა მთელი მისი მუშაობა. შედარებით სხვებთან უკეთ ეხმარებიან ქოხსამკითხველოს მასწავლებლები: ვიქტორ კალანდაძე და ევ. უჯმაჯურიძე.

სოფსაბჭო სუსტად ხელმძღვანელობს სამკითხველოს მუშაობას. ასე მუშაობის გაგრძელება მოუთმენელია.

ვ. უნგიაძე

სამკითხველოს უქნარა გამგე

როდინაულის (ჯუღელის რ.) სამკითხველო ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მასების გაზრდილ მოთხოვნილებას.

სამკითხველოში არ არის წიგნები საკმაო რაოდენობით. არ არის გამოჩენილი კლასიკოსების, პუშკინისა და გორკის ნაწერები, რომლებიც დიდად აინტერესებს ახალგაზრდობას.

არავითარი წრეობრივი მუშაობა არ წარმოებს და ასეთ მდგომარეობას გულხელდაკრეფილი უყურებს სამკითხველოს გამგე თამაზ გიორგაძე.

სამკითხველო მეტწილად დაკეტილია, დიდი ბოქლომი გარაჯობს მას.

სამკითხველოში გამეფებულია ანტისანიტარია. ჟურნალ - გაზეთები და წიგნები მტვერში ყრია. არ წარმოებს გაზეთების ხმამაღალი კითხვა. ანტირელიგიური მუშაობა ხომ სულ მივიწყებულია.

რას უცდის სასოფლო საბჭო ან განათლების განყოფილება, რატომ არ ღებულობენ ზომებს უქნარა გამგის მიმართ?! **ა. მერკვილაძე**

ნამგლეჯელები და საბოტაჟნიკები სასტიკად უნდა დაისაჯონ

დიდი ხანია, რაც განათლების სახალხო კომისარიატის ბუხჰალტერიაში ხალხის მტერი შ. გეგენავას მავნებლური მუშაობის შედეგად გამეფდა სრული ქაოსი, მთელ რიგ მუშაკთა მხრივ მოვალეობის შესრულებისადმი დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა. ანგარიშწარმოებაში ადგილი ჰქონდა ყოვლად დაუშვებელ, დანაშაულებრივ ხასიათის მთელ რიგ დეფექტებს.

უპასუხისმგებლოდაა შედგენილი 1935 წლის დასკვნითი ბალანსი. სრულიად მოუწესრიგებელია კრედიტების მოძრაობა, ჩამოწერილია მივლინების ხარჯები სათანადო ბრძანებათა და ადგილებზე გამოცხადების დასტურის გარეშე 7.534 მან. და 82 კაპ. უკანონოდაა გატარებული საქვეანგარიშო და სადებიტორო თანხები 8.829 მან. და 92 კაპ.

ბუხჰალტერიის მოუქნილი და უპასუხისმგებლო მუშაობის შედეგად დიდძალი თანხები ირიცხება ანგარიშვალდებულ პირებზე და დებიტორებზე.

ზემოჩამოთვლილი უმსგავსოების და და ნაშაულებრივი ხასიათის ფაქტებთან ერთად ბუხჰალტერიაში ადგილი ჰქონდა ანგარიშწარმოების ძალზე ჩამორჩენას (2 თვით). ყოფილი მთავარი ბუხჰალტერი გუბელაძე, მთავარი ბუხჰალტერის ყოფ. მოადგილეები: ხორბალაძე და ხმალაძე სრულიად მუშაობაში არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისა მიმართავდნენ საბოტაჟს, ადგნენ თვალის ახვევას გზას და ცდილობდნენ, რომ მათ ყველაფერი რიგზე აქვთ და იმავე დროს ეწეოდნენ წამგლეჯაობას, უკანონოდ ღებულობდნენ თანხებს როგორც საგეგმო საფინანსო განყოფილებიდან, ისე სხვა სამმართველოებიდან, შეჰყავდათ რა ისინი შეცდომაში. სადებიტორო და ანგარიშვალდებულ პირებზე რიცხული დავალიანების ვითომდა შემცირებისათვის გუბელაძემ უკანონოდ მიიღო 1200 მანეთი, ხორბალაძემ—1100 მანეთი, ხმალაძემ — 1100 მანეთი.

წამგლეჯაობისა და საბოტაჟისათვის, 1936 წლის დასკვნითი ბალანსის უპასუხისმგებლოდ შედგენისა და გაყალბებისათვის, კრედიტების მოძრაობას აღრიცხვის დაუყენებლობის, საკრედიტო სისტემას დაოღვევისა და ანგარიშწარმოებაში მთელი რიგი დანაშაულებრივი ხასიათის უკანონო ოპერაციების გატარებისათვის მოხსნილი არიან და პასუხისგებაშია მიცემული მთ. ბუხჰალტერი გუბელაძე და მისი მოადგილეები: ხორბალაძე და ხმალაძე.

საგეგმო - საფინანსო განყოფილების გამგე ფანცხავა მოიხსნა სამსახურიდან ბუხჰალტერიისადმი სრულიად არასაკმაო ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთათვის თანხების უკანონოდ გამოწერისათვის.

კომისარიატი ამჟამად იმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს დანაგვიანებული ბუხჰალტერიის გამოსაჯანსაღებლად.

ბ. მ.

ნუთუ ესეც სიფხიზლეა!

განათლების სახალხო კომისარიატის ყოველთვიურ ორგანოს ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1937 წლის № 3-ში მოთავსებული იყო, ამჟამად გამომჟღავნებული შავრაზმელი გ. ნანეიშვილის შენიღბული კონტრრევოლუციური შინაარსის წერილი.

ბუნებრივია, რომ მის შემდეგ, რაც ნანეიშვილი მხილებული იქნა, რედაქციას ჟურნალი ხელმომწერთათვის აღარ უნდა გაეგზავნა. მაგრამ ტირაჟის ნაწილი გაგზავნილი აღმოჩნდა. ამ გარემოებამ ადგილებზე თავისებური, მეტად უხეში და გაუმართლებელი შედეგები გამოიწვია. კერძოდ, თბილისის ქართულ პედაგოგიურ სასწავლებელში ჟურნალის ეს ნომერი 250 ცალის რაოდენობითაა გავრცელებული. ჟურნალის ჯერ არც ერთი ცალი არ იყო ხელმომწერ მოსწავლეთა შორის დარიგებული, როდესაც პრესაში მხილებული უკვე იყო ხალხის მტერი გ. ნანეიშვილი. ეს გარემოება ავალდებულებდა სასწავლებლის ადმინისტრაციას ჟურნალი ხელმომწერებზე არ დაერიგებინა და უკანვე გაეგზავნა რედაქციისათვის. მაგრამ თბილისის პედსასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე ალ. გვახარია ასე როდი მოიქცა: აიღო და ნანეიშვილის შენიღბული კონტრრევოლუციური წერილი, რომელსაც ეჭირა ჟურნალის 55 გვერდიდან 81 გვერდამდე, ყველა ეგზემპლარში მაკრატლით ამოსჭრა, რის შემდეგაც მოწაფეებს დაურიგა.

რით შეიძლება გამართლდეს ასეთი უხეში საქციელი?! განა შეიძლება ჟურნალის დარიგება ხელმომწერთათვის ისე, რომ შიგ მთელი 25 გვერდი იქნეს ამოგლეჯილი!

ი. ნატროშვილი

შევქმნათ სკოლებში ბავშვთა სამეცადინო ოთახები

ამჟამად ჩვენი სკოლის ერთერთი ძირითადი ამოცანაა ბრძოლა მეორეწლიანობის აღმოფხვრისათვის და მოსწავლეთა აკადემიურად ჩამორჩენილობის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს აკადემიურად ჩამორჩენილ მოწაფისადმი არასაკმაო დახმარების გაწევას.

არაა იშვიათი შემთხვევა, როდესაც ბავშვი მუყაითია, მაგრამ არა აქვს შინ გაკვეთილების მომზადების საშუალება — არა აქვს სამეცადინო კუთხე, სახელმძღვანელოები, არა ჰყავს მეცადინეობის წესების მიმთითებელი, გაუგებარ საკითხებზე განმარტების მიმცემი.

საჭიროა აღრიცხულ იქნეს ასეთი ბავშვები და მიეცეს მათ სკოლაში გაკვეთილების მომზადების საშუალება, რისთვისაც გამოყოფილი უნდა იქნეს სამეცადინო ოთახი, სადაც იქნება პედაგოგი (მორიგეობით), რომელიც გაუწევს მათ საერთო ზედამხედველობას და კონსულტაციას გაუგებარ საკითხების გარკვევაში.

ახალი სასწავლო წლიდან სკოლებს არ უნდა გამორჩეთ მხედველობიდან ასეთი სამეცადინო ოთახის საკითხის მოგვარება. რაც ერთერთი ეფექტური ზომა იქნება მოწაფეთა აკადემიურად წინწაწევის საქმეში.

შ. გადილია

რსფსრ სკოლებში

მომავალ სასწავლო წელს რსფსრ სკოლებში ისწავლის 18,5 მილიონზე მეტი ბავშვი.

3 მილიონი და 300 ათასი ბავშვი პირველად დაჯდება მერხზე.

წელს მესამე და მეოთხე კლასებში შემოღებული იქნება სსრ კავშირის ისტორიის ელემენტარული კურსის სწავლება.

როგორც წესი, წელს ერთი პედაგოგი ამეცადინებს ერთს ან სულ ბევრი—ორ კლასს.

ესენიც აღმზრდელები არიან!

— რა საჭიროა ძნელადაღსაზრდელ ბავშვთათვის თვალყურის დევნება. დე, იცხოვრონ ლაღად, როგორც თვითონ სურთ, „თავისუფალი აღზრდა“ ყველაფერს სჯობია მათთვის, — ასე „ბრძნულად“ დაასკვნა ნავთლუღის ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სახლის დირექტორმა ივ. გორგაძემ. თქვა და აასრულა. რის შედეგად გამეფდა ხსენებულ სახლში სრული უწესრიგობა: არ იყო დღის მტკიცე რეჟიმი, ბავშვებმა იწყეს გაპარვა, ხეტიალი და სხვ., მაგრამ ყოველივე ამას უდარდელად შესცქეროდა დირექტორი.

არც მხოლოდ ამით განისაზღვრება ამ სახლში არსებული უწესრიგობანი. შევიხედოთ თუგინდ სამკითხველოში, რომელიც აღმოჩნდა დანაგვიანებული კონტრრევოლუციური ლიტერატურით, რომლის ავტორებია ხალხის მტერი სისხლიანი ფაშიზმის აგენტი მ. ტოროშელიძე და სხვ. სამკითხველოს გამგე მოსეშვილი დიდხანს „ასაზრდოებდა“ ბავშვებს ამ ლიტერატურით. მაგრამ დირექტორ გორგაძეს და სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგეს ალ. გაჩიჩილაძეს ეს ნორმალურ მოვლენად მიაჩნდათ.

თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ ამ უმსგავსოებისათვის გაფრთხილება მისცა ივ. გორგაძეს და დაავალა უახლოეს ხანში დაამყაროს საბავშვო სახლში წესრიგი. ალ. გაჩიჩილაძეს კი გამოეცხადა საყვედური, ხოლო სამკითხველოს გამგე მოსეშვილი მოიხსნა სამსახურიდან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო სასტიკი ზომების მიღება იყო საჭირო მათ მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს კომუნისტური სწავლა-აღზრდის პრინციპები.

მამხილებელი

თელავის სახელმწიფო თეატრში ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის თავი აღნიშნულ იქნა ახალი პიესის — „კაცია ადამიანის“ დადგმით.
სურათზე: პიესა „კაცია ადამიანის“ დადგმა ლ. მაღლაკელიძის რეჟისორობით. მხატვარი რ. მირზაშვილი. ფოტო ტორისა („ს. ფ“. საქ. განყ.).

პ ა რ ძ ი ა შ ი

რკინიგზის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კურსებმა ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოაწყო ექსკურსია ვარძიაში.

ვარძიას შეცთომით მონასტერს უწოდებენ. სინამდვილეში კი ეს ყოფილა ვეებერთელა ქალაქი, გამოჭრილი კლდეში, თავისი მეურნეობით და კეთილმოწყობით. მართალია, არის შიგ ერთი დიდი საყდარი, მაგრამ ვარძიის მართებული სახელწოდებაა ქალაქი-გამოქვაბული, რადგანაც საყდარი ერთია, ხოლო დარბაზი (ოთახი) — აურაცხელი.

ვარძია შორდება ბორჯომიდან 110 კილომეტრის მანძილზე, მესხეთში, მტკვრის ხეობაში. მანქანა უდგება 1 კილომეტრის სიახლოვეს და ჩერდება მტკვრის გაღმა. მანქანიდან ჩამოსვლისას თქვენ წინ იშლება ვეებერთელა კლდე გამოქვაბულებით, რომლებში აშკარად გაარჩევთ კარებსა და ფანჯრებს. გადიხართ მტკვარზე პატარა ბოგირით (მტკვარი აქ შედარებით პატარა მდინარეს წარმოადგენს) და აჰყვებით ვიწრო ბილიკს აღმართზე. დაამთავრებთ ბილიკს და იწყებთ ასვლას იმავე კლდისაგან გამოთლილი კიბეებით. პირველად შედიხართ ეკლესიასა და საყდარში, რომლის კედელზე გამოხატულია საქართველოს მეფე გიორგი III და მისი ქალიშვილი თამარ მეფე, რომელსაც ხელში უკავია ვარძიის ეგმა. თამარისაგან მოშორებით დახატულია კედელზე მისი შვილი ლაშა-გიორგი (ზოგის თქმით კი ეს შოთა რუსთველია).

შემდეგ ათვალიერებთ დარბაზებს, რომლებშიც თავისი გრანდიოზულობით გაკვირვებთ სასამართლოს დარბაზი. ოთახები იმდენია, რომ ვერ დაითვლით, და წარმოიდგინეთ, ყველა ეს ოთახი ჩვეულებრივ სინათლიანია, რადგანაც აქვს დიდი კარი და ორ-ორი ფანჯარა. შემდეგ ადიხართ ზევით (ცოტათი ძნელი ასასვლელი კია). უფრო მაღლა სართულზე დახუნლობთ თამარის ოთახს საუცხოო გადასახედით (გადაჰყურებს მტკვარს და მთელ მის ხეობას დიდ მანძილზე). შემდეგ ჩაივლით მარანი უზარმაზარი საწნახელით, კლდისგანვე გამოკვეთილი, ამავე კლდეში გაყვანილი მილებით, საიდანაც თავის დროზე, ალბათ, მოჩუხჩუხებდა ტკბილი და ჩადიოდა იქვე გამართულ ქვევრებში.

საყდრიდან მიდის გვირაბი წყაროზე, რომლის დებეტი არ არის დიდი (8 ვედრო დღე-ღამეში). მაგრამ ცივია ყინულივით და უაღრესად სასიამოვნოა დასალევად. კლდეშივე გაყვანილი ყოფილა წყალსადენი, რომლის მილები ახლაც ჩანს. წყალსადენის საჭიროებას იწვევდა. თურმე, ხალხის სიმრავლე ქალაქში — მარტო ჯარი ყოფილა შიგ 20.000 კაცისაგან შემდგარი.

აურაცხელია გვირაბი ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით; ზოგი მათგანი ჯერაც არ არის გაწმენდილი. რომ შესაძლებელი იყოს ამ გვირაბებით გასვლა-გამოსვლა და ქალაქის სხვა ნაწილების აღმოჩენა.

ამ შესანიშნავი ძეგლის დირექტორმა ამხ. ნ. ნათენაძემ გვითხრა, რომ დღემდე მას აღრიცხული აქვს 400-მდე ოთახი თუ დარბაზი; ჯერ ქალაქის ნახევარიც არ არის გამოკვლეული.

ამხ. ნათენაძისვე გადმოცემით, ვარძიის მშენებლობა დაწყებულა მე-12 საუკუნეში გიორგი III-ის მეფობის დროს. შემდეგ გაუგრძელებია და დაუმთავრებია თამარს. გამოდის, რომ მშენებლობა წარმოებდა თითქმის ერთ საუკუნემდე. თქვენ გაოცებთ ის, თუ რა იარაღით ან რა მუშახელით იქნა შესრულებული ეს სამუშაო. მართალია, არ გხიბლავთ აქ ბუნების სიმშვენიერე — ბოლოსდაბოლოს საქმე გაქვთ სხვადასხვა ადგილას გამოკვეთილ ერთნაირ კლდესთან — მაგრამ განცვიფრებთ არქიტექტურა და სიდიადე. ამხ. ნათენაძის თქმით, გამოქვაბულ ქალაქთა შორის ვარძიას თავისი გრანდიოზულობით და ისტორიული მნიშვნელობით პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვარძიაში ამჟამად მუშაობს სახ. უნივერსიტეტის ექსპედიცია ამხ. მ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით. ამ დღეებში დაიწყებს აქ მუშაობას აგრეთვე მეორე ექსპედიცია (არქეოლოგიური) დოც. ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით.

ამ შესანიშნავი „ქალაქის“ ნახვით მასწავლებლობა დიდად კმაყოფილი დარჩა.

ი. თოდუა

პატარა ფელეტონი

„ცდების ჩატარება“

ვინ იცის როგორ, ან ვისი წყალობით, მაგრამ ფაქტია, რომ ურიათუბნის (გურჯაანის რ.) სკოლაში მასწავლებლობს გივი ბეზარაშვილი, რომელიც დღემდე ატარებს საბჭოთა მასწავლებლის სახელს.

მას ბევრი რამ უყვარს ამ ქვეყნად, მაგრამ ყველას ურჩევნია „ყურძნის წვენი“, რომელიც ხშირად დუღს და გადმოდუღს მის თავში.. მაგრამ რა საჭიროა თავი? დე, მან იქანაოს ხან აქეთ, ხან იქით. „შეზარხოშებული“ ბეზარაშვილისათვის მთავარია ფეხები, რომლებიც ხშირად მოათრევენ ხოლმე სკოლამდე გივის თავს. მაგრამ ვაი, რომ ერთ დღეს, როცა დაირეკა და მოსწავლეები გულის ფანცქალით ელოდნენ მასწავლებლებს, გივის უმტყუნა ფეხებმაც, ჩაიკეცა.. თავი ქანაობს, ფეხები არ მოძრაობენ..

გაიმართა ბრძოლა ამ „უბადლო მასწავლებელსა“ და გივი ბეზარაშვილს შორის. თავი მაინც ქანაობს, ფეხები იმართება, მაგრამ... ბოლოს მაინც იკეცება.. დაადგა ძალა თვალებს, რომლებიც ნატრობენ ძილს.. მაგრამ მასწავლებლის მოვალეობის „შეგნება“ ებრძვის ასეთ მოვლენებს...

— ბი-ჭე-ბო, მო მე-შველეთ, თქვენი ჭი-რიმე! — წაილუღლუღა გივიმ... უცბად მას მხრებში ამოუდგა ორი არაუცნობი ახალგაზრდა, არამედ მისივე მოსწავლე. მათ ძლივს მიიყვანეს, უკეთ რომ ვთქვათ, დიდი გაჭირვებით მიიტანეს სკოლამდე თავისი მასწავლებელი.

გივი ზის.. სკოლა, პარტები, მოსწავლეები ტრიალებენ... ირგვლივ სიჩუმეა... სულგანაბული მოსწავლეები უყურებენ მასწავლებლის „ცდებს“ (ასწავლის ქიმიას).

— ბავშვებო.. დედამიწა აი, ასე ბრუნავს.. ამ დროს იფეთქა „შადრევანმა“, რომელმაც მეტი ველარ გაძლო გივი ბეზარაშვილის ტანჯულ მუცელში..

— მომაწოდეთ „ჭაშ-თრი“, წამოიძახა ახლა უკვე შემხუბუქებულმა გივიმ და ხელი „გრაფინკისაკენ“ გაიშვირა.

მოუტანეს „ჭაშ-თრი“ (წყალი). გამოფხიზლება მაინც ვერ მოხერხდა.

თვალებსაც მოსწყინდა გივის ამდენი სამსახური. მათაც „მწუხრის ზეწარი“ გადაეფარა. მოსწავლეებსაც მობეზრდა ამდენი ლოდინი. ჩატარებული „ცდებით“ „კმაყოფილმა“ მოსწავლეებმა შინისაკენ მოკურცხლეს და დაწვრილებით უამბეს მშობლებს მასწავლებლის მიერ ჩატარებული „ცდების“ შესახებ, რამაც დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვია.

წარმოგიდგენიათ გურჯაანის განათლების განყოფილებამ, რომელსაც არაფერი უთქვამს ჯერ ასეთი „ცდების“ წინააღმდეგ, ჩანს იზიარებს. მაგრამ ჩვენ მაინც ვურჩევთ განათლების განყოფილების მესვეურთ თავი შეიკავონ მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლების დაკომპლექტების დროს მსგავსი „ცდების“ ჩამტარებელ მასწავლებლებისაგან.

ფ. გ.

უპატრონო საბავშვო ბაღი

სოფ. კარდანახში (გურჯაანის რ.) დიდი ხანია არსებობს საბავშვო ბაღი, ის ბოლოს გადაეცა ამავე სოფლის წითელი მარნის სახელობის კოლმეურნეობას და მომსახურეობას უწევს პარიზის კომუნის, მაქსიმ გორკის, ლენინის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებს.

აღნიშნულ კოლმეურნეობათა გამგეობებს ევალებათ იზრუნონ საბავშვო ბაღზე, მაგრამ სინამდვილეში კი მისთვის არავინ ზრუნავს. ის უპატრონოდაა მიტოვებული.

ამ საბავშვო ბაღის აუტანელი მდგომარეობის გამოსწორების საკითხი განხილული იქნა გურჯაანის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც მიიღეს სათანადო დადგენილება, რის რეალიზაციაზე არავინ ფიქრობს.

რაიაღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს ხალხის მოღალატე ჯაშუშ გ. ოქროპირიძეს ამისათვის არ ეცალა.

დროა გაეწიოს მზრუნველობა გაპარტახებულ საბავშვო ბაღს.

ფ.—ია.

დაუსწრებელი დირექტორი

თბილისის ქართულ პედსასწავლებლის დირექტორად ითვლება ემელიან კვაჭაძე. იგი ამავე დროს თბილისის სტალინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების გამგეა. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის პედსასწავლებლის დირექტორობა შეთავსებითი სამუშაოა, ის დირექტორის ხელფასს მთლიანად ღებულობს. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, როგორ „ითავსებს“ იგი ამ სამუშაოს? — 1936-37 სასწავლო წელი ისე დამთავრდა, რომ კვაჭაძეს ერთხელაც არ უკითხავს სასწავლებლის ბედი. იშვიათია ისეთი მოწაფე, რომ ის დირექტორს იცნობდეს. ხშირია ასეთი შემთხვევები: მოწაფის სურს მიიღოს სასწავლებლიდან რაიმე ცნობა ან მოწმობა. მან დირექტორის ხელმოწერისა და ბეჭდის დასმისათვის (ბეჭედი კვაჭაძეს ჯიბით დააქვს) ან მთელი თვე უნდა ელოდოს ანდა რაიონულ განათლების განყოფილებაში დიდი წვალების შემდეგ ნახოს თავისი დირექტორი!

ეს მდგომარეობა იცის განათლების კომისარიატმა. მაგრამ დღემდე ვერ „გამოძებნა“ დირექტორობისათვის შესაფერი კანდიდატი!..

განათლების სახ. კომისარიატმა საჭიროა დღიდ. შემდეგ. მაინც მიაქციოს ყურადღება.

ი. ნ.

პ/მგ. რედაქტორი გრ. სოსელია

დაიკარგა

მრგვალი ბეჭედი წარწერით: „ტაძრისის კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლა“ დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 3, ტელ. № 3—67—47.

სილ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კომის ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული №31518